…რებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

…ელოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული …ტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავ… საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

კვირა
25 მარტი
1956 წელი
№ 25 (935)
ფასი 30 კაპ.
გამოცემის მე-12 წელი

## …ტი ყურადღება შეჯიბრებათა ორგანიზაციას

…, ნამდვილად მეგობრული შეხ… …ის გარდა, რომელიც მოსკოვში …ს, ჩვენზე განსაკუთრებული შთა… …ბა მოახდინა შეჯიბრებათა ორგანი… …გარდა იმ შეჯიბრებისა, რომელშიც …მონაწილეობდით, მოსკოვში მიმდინა… …საქალაქო პირველობა ფეხბურთში, …ში და სხვ. ჩვენ დიდი ხალისით და… …მათ და ყველგან ვიხილეთ მაღალი …ლინა, ორგანიზებულობა, რომელიც …სპორტის განუყრელი დამახასიათე… …თვისებაა", — განაცხადა უნგრელმა …სტმა შანდორ მეკეშმა.

… ფიზკულტურულმა მოძრაობამ …ების ჩატარების უდიდესი გამოცდი… …აგროვა. ამიტომაა, რომ მსოფლიოს …ლი პრესა მაღალ შეფასებას აძლევს …კავშირში გამართულ ყველა საერ… …ო შეჯიბრებას. სპორტის ბევრი მო… …ო დაესწრო თბილისში გამართულ …ო პირველობას მძლეოსნობაში. გა… …ის სეზონის ეს გრანდიოზული ღო… …კარგად ჩატარდა, გათვალისწინებუ… …ყველა დეტალი, მსაჯთა აპარატი სა… …ნიზმივით მუშაობდა. ამ შეჯიბრე… …დეგებით კმაყოფილი დარჩნენ მაყუ… …ც და სპორტსმენებიც.

…ების ორგანიზაციასა და მაღალ …ლ დისციპლინაზე იმიტომ გავამახ… …ყურადღება, რომ მიმდინარე სპორ… …ზონი მრავალი საინტერესო შეჯიბ… …ის სავსე: დედაქალაქის, რესპუბლი… …სპარტაკიადები, საქალაქთაშორისო მატ… …ქვეყანათაშორისო შეხვედრები ფეხბურთ… …ის პირველ რიცხვებში ბაქოს, თბი… …და ერევნის მოტოციკლისტები დი… …გამართავენ ასპარეზობას; დღეს იწყე… …პუბლიკური პირველობა ფეხბურთში, …ერთი კვირის შემდეგ — საკავშირო …ობა.

…ც სპორტულ დისციპლინასა და …ების ორგანიზაციაზე ვლაპარაკობთ, …გავიხსენოთ გასულ წელს მომხდა… …ები. განსაკუთრებით ფეხბურთში …ქონდა მატჩების ჩაშლის, მოედანზე …ის ფაქტებს. ფიზკულტურის რეს… …ური კომიტეტი იძულებული გახდა …ოდ დაესაჯა რამდენიმე სპორტს… …ა სათანადო ორგანიზაციები მომხ… …ფაქტების შესწავლას შეუდგნენ, იმ …მდე მივიდნენ, რომ მაღალი სპორ… …დისციპლინა, წესრიგის დაცვა რო… …მოედანზე, ისე მაყურებლებში დიდა… …კიდებული შეჯიბრების ორგანიზა… …, ამას წინათ „კოლმეურნეს" ზუგ… …უნდა ჩაეტარებინა შეჯიბრება ქარ… …ობაში საზოგადოების ფალავნის სახელზე. აჭრელდა აფიშები, დაინტერესდა ადგილობრივი მოსახლეობა, მაგრამ რა გამოვიდა? შეჯიბრებაზე 7 თუ 8 მოჭიდავე გამოცხადდა. მაყურებელმა დაძაბული ვაჟკაცური ჭიდაობის მაგივრად ულიმღამო ძიძგილაობას უყურა, უკმაყოფილო დარჩა და სამართლიანი საყვედურიც გამოთქვა.

შორს რომ არ წავიდეთ, გავიხსენოთ თბილისში ჩატარებული რესპუბლიკური გუნდური პირველობა მძლეოსნობაში. მსაჯთა კოლეგიამ და გუნდების წარმომადგენლებმა ვერ შეკრიბეს სპორტსმენები პარადისათვის. ბოლოს შეჯიბრება ალმის აღმართვისა და პარადის გარეშე დაიწყეს.

გამოგვაქვს რა სათანადო დასკვნები ჩატარებულ შეჯიბრებებზე დაშვებული შეცდომებიდან, საჭიროა აქედანვე გავშალოთ დაუნდობელი ბრძოლა შეჯიბრებათა ზერელედ, მოვალეობის მოხდის მიზნით ჩატარების წინააღმდეგ. ეს მეტად მნიშვნელოვანი საკითხია და მის გადაჭრაში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ კომკავშირულმა, პროფკავშირულმა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა.

საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადის კეთილშობილური მიზანია ორგანიზებულად, მაღალ სპორტულ დონეზე ჩატარდეს მისი ყველა ეტაპი, რათა ერთი ორად გაიზარდოს სპორტში მომეცადინეთა რიცხვი. ყოველივე ამას ჩვენ მაშინ მივაღწევთ, თუ კიდევ უფრო ავამაღლებთ სპორტის ავტორიტეტს, ყველა ღონისძიებას, რა მასშტაბისაც არ უნდა იყოს იგი, ჩავატარებთ ორგანიზებულად, სანიმუშოდ. ამ ამოცანის შესასრულებლად კი დაგვჭირდება აქტივის დარაზმვა, რაიონის ყველა დარგის მუშაკების ჩაბმა საქმეში ისე, რომ ყველას ჰქონდეს მიჩენილი განსაზღვრული უბანი და გრძნობდეს პასუხისმგებლობას.

დიდი მუშაობის ჩატარება მოგვიხდება მსაჯებთან. გულისხმიერად უნდა შევარჩიოთ ისინი, არ დავუშვათ, რომ მსაჯთა კოლეგიაში მოკალათდნენ შემთხვევითი პირები, რომლებიც ობიექტური მსაჯობისაგან შორს არიან. თუ საკუთარი ძალებით ვერ შევავსებთ მსაჯთა კოლეგიებს, საჭირო გახდება მათი მეზობელი რაიონიდან მოწვევა. სპარტაკიადის მთავარ მსაჯად უნდა დაინიშნოს ისეთი ადამიანი, რომელიც შეძლებს საქმის სწორად წარმართვას, აქტივის დარაზმვას, მასების დაინტერესებას, მოედანზე დაძაბული ბრძოლის გაჩაღებას.

ჩვენი სოციალისტური სამშობლოს წინსვლა ყველა უბანზე მოპოვებულია მასების ორგანიზებულობით, მაღალი დისციპლინით, მხოლოდ ამ გზით მივაღწევთ ჩვენ წარმატებას ფიზკულტურასა და სპორტშიც.

## ძალოსანთა რეკორდები

…კი ცნობილი გახდა, რომ …კავშირისა და ამერიკის შე… …შტატების ძალოსანთა …ედგებოდა ამერიკელ ხე… …მიერ ჩვენი სპორტ… …ის წაყენებული ფიულე… …ბების გამო, გადაწყდა …გამართულიყო ნაკრების …და სსრ კავშირის უძ… …ძალოსნების შეხვედრა. …შორის იყვნენ მსოფ… …ნები ვ. სტოგოვი, რ. ჩი… …ვორობიოვი, ევროპისა …ქვეყნის ჩემპიონები ფ. …, ტ. ლომაკინი, ავრე… …, ე. ნოვიკოვი, ი. რიბაკი, პ. მატიუხა, ს. რომანენკო. ავადმყოფობის გამო შეჯიბრებაში მონაწილეობა ვერ მიიღეს მსოფლიო ჩემპიონმა ნ. კოსტილიოვმა და სსრ კავშირის ჩემპიონმა ა. მედვედევმა.

ბოგდანოვსკი და ლომაკინი დაუსწრებლად ეჯიბრებოდნენ ამერიკელ შტანგისტებს პ. ჯორჯსა და ტ. კონოს. ბოგდანოვსკიმ (ქვესაშუალო წონა) სამჭიდის ჯამში დააგროვა 412,5 კილოგრამი (127,5+125+160) და დაამყარა ახალი საკავშირო რეკორდი. აღსანიშნავია, რომ მიუნხენში მოწყობილ მსოფლიო პირველობაზე ამ წონით კატეგორიაში გაიმარჯვა პ. ჯორჯმა (405 კილოგრამი).

საშუალო წონის ძალოსანმა ტ. ლომაკინმა სამჭიდში აჩვენა 437,5 კილოგრამი (135+132,5+170). ეს ახალი საკავშირო რეკორდი და მსოფლიო რეკორდის გამეორებაა. მძიმე წონის ძალოსანმა ე. ნოვიკოვმა აჭიმვაში 156 კილოგრამი აჩვენა და დაამყარა ახალი საკავშირო რეკორდი. გამოდიოდნენ რა კონკურენტების გარეშე, ვ. სტოგოვმა (მჩატე წონა) და რ. ჩიმიშკიანმა (ქვემსუბუქი წონა) სამჭიდის ჯამში დააგროვეს შესაბამისად 317,5 და 342,5 კგ, ხოლო ა. ვორობიოვმა (ქვემძიმე წონა)—445 კილოგრამი.



## „დინამოს"



## პირველობა



23 მარტს თბილისის „დინამოს" სტადიონზე დაიწყო „დინამოს" ცენტრალური საბჭოს პირადი პირველობის გათამაშება მძლეოსნობაში. მართალია, შეჯიბრების მონაწილეებს ამინდი ხელს არ უწყობდათ, მაგრამ სტადიონის დირექციამ ყველა ღონე იხმარა ჩემპიონატის ნორმალურად ჩატარებისათვის. სწორედ ამის გამო სპორტსმენთა დიდმა ნაწილმა საკმაოდ მაღალი შედეგი აჩვენა.

საინტერესო ბრძოლით აღინიშნა ქალთა და ვაჟთა სპრინტი. ქალთა შორის 100 მეტრზე რბენაში წინასწარ გარბენებში ყველაზე მაღალი შედეგი ჰქონდა ნ. დვალიშვილს — 12,3, მაგრამ ფინალში მას აჯობა სვერდლოვსკელმა გ. რეზჩიკოვამ — 12,0. დვალიშვილი მას 0,2 წამით ჩამორჩა. ვაჟებში ამ დისტანციაზე სამმა სპორტსმენმა — ვ. ბაზიკოვმა, ბ. სუხარევმა (ორივე მოსკოვი) და ნ. როდიგინმა (სვერდლოვსკი) ერთნაირი შედეგი აჩვენა — 10,9. პირველ ადგილზე გამოვიდა ბაზიკოვი, ხოლო მეორეზე სუხარევი.

თარჯრბენში 80 მეტრზე საუკეთესო შედეგი ჰქონდა ბელორუსიელ ე. გურევიჩს—11,9. ვაჟთა თარჯრბენი 110 მეტრზე მოიგო თბილისელმა მ. ტულუშმა — 14,9. გ. ლექავას (თბილისი) და ა. შნულინის (აზერბაიჯანი) დროა — 15,1.

სიგრძეზე ხტომაში (ვაჟებში) პირველი იყო ლენინგრადელი ლ. გრიგორიევი—7 მ 6 სმ. სიმაღლეზე ხტომა მოიგო ლატვიის წარმომადგენელმა ი. ლიპინშმა — 1 მ 90 სმ.

კარგი შედეგები აჩვენეს ბადროს ტყორცნაში ესტონელმა ხ. ჰეინასტემ—50 მ 97 სმ და მოსკოველმა ვ. შევკოლოვიჩმა—50 მ 55 სმ.

400 მეტრზე რბენაში ქალთა შორის საუკეთესო შედეგი ჰქონდა ბელორუსიელ ე. ერმოლაევას—58,8, მეორე ადგილზე გამოვიდა მოსკოველი ნ. ჩერნომჩეკი—59,8. ქალთა შორის ბირთვის კვრაში თავი გამოიჩინა მძლეოსანთა ძველი თაობის წარმომადგენელმა ა. ანდრეევამ — 14 მ 9 სმ.

800 მეტრზე რბენაში (ვაჟებში) ფინიშის ხაზი პირველმა ა. ვოლოკინმა (მოსკოვის ოლქი) გადაჰკვეთა. მისი შედეგია 1.55,2. გამარჯვებულს 0,7 წამით ჩამორჩა თბილისელი პ. კუდრიავცევი.

5.000 მეტრზე რბენაში კარგი შედეგი აჩვენა ვ. ოკოროკოვმა— 14.58,6. მეორე ადგილზე გამოვიდა ვ. კაზანცევი — 15.09,6.

მაღალი შედეგებით აღინიშნა სიმაღლეზე ხტომა ქალთა შორის. ლენინგრადელმა ლ. მოჩილინამ და კიეველმა ვ. სერდიუკოვამ 155 სმ დაძლიეს. გამარჯვება ლენინგრადელს მიეკუთვნა.

**ა. ტარასევიჩი**

* * *

**სურათებზე:** დინამოელ მძლეოსანთა შეჯიბრების მომენტები.

ფოტო დ. იაკობაშვილისა.

## ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტში

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმა საკავშირო კატეგორიის მსაჯის წოდება მიანიჭა: ჩოგბურთში ი. გველესიანს, ტანვარჯიშში ლ. ცაბაძეს, სიმძიმეების აწევაში ს. გელაძეს (სამივე თბილისის „ბურევესტნიკი"), სასტენდო სროლაში ლ. ციციშვილს (თბილისი, „მინკავშირი"), კლასიკურ და თავისუფალ ჭიდაობაში კ. ნუშტაევს (თბილისი „ნეფტიანიკი").

# რესპუბლიკური სპარტაკიადის II ეტაპზე

## ქარხნის სპორტდარბაზში

ლენინის სახელობის რაიონის ფიზკულტურელებმა დაამთავრეს შეჯიბრება ფრენბურთში, რომელიც 26 კომისრის სახელობის ქარხნის სპორტულ დარბაზში ჩატარდა. გოგონათა შორის პირველობა მოიპოვეს მე-11 სკოლის მოსწავლეებმა. ჭაბუკ ფრენბურთელთა შორის გაიმარჯვეს რკინიგზის I სკოლის ფიზკულტურელებმა.

## უკანასკნელ დღეს

ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს სპორტულ დარბაზში 7 დღეს გრძელდებოდა სტალინის სახელობის რაიონის მოსწავლე კალათბურთელთა შეხვედრები. გოგონათა შორის შეჯიბრების უკანასკნელ დღემდე დაუმარცხებლად მივიდნენ მე-20 და 27-ე სკოლების კოლექტივები. ფინალურ შეხვედრაში (30:24) გაიმარჯვეს მე-20 სკოლის სპორტსმენებმა. მესამე ადგილზე გამოვიდა 28-ე სკოლის გუნდი.

საინტერესოდ ჩატარდა პირველობა ვაჟთა გუნდებს შორის. შეჯიბრების ფინალში 25-ე სკოლის მოსწავლეებმა დაამარცხეს (53:49) რკინიგზის მესამე სკოლის წარმომადგენლები. III ადგილი დაიკავეს რკინიგზის მეშვიდე სკოლის სპორტსმენებმა.

## შეასრულეს სათანრიგო ნორმატივები

26 კომისრის სახელობის რაიონის სპორტსმენებმა შეჯიბრება დაამთავრეს ტანვარჯიშში, სროლასა და კალათბურთში. სპორტულ ტანვარჯიშში გუნდური პირველი ადგილი დაიკავეს 87-ე სკოლის მოსწავლეებმა. პირად პირველობაზე გოგონათა შორის მოზარდთა პირველ თანრიგში გაიმარჯვა კატალოვამ (81-ე სკოლა). ვაჟებში (ოსტატთა პროგრამით) პირველი ადგილი დაიკავა 78-ე სკოლის სპორტსმენმა მკრტიჩიანმა. ჭაბუკთა I თანრიგში ყველას აჯობა ფრიდონაშვილმა. მეორე ადგილზეა კანდელაკი (ორივე 87-ე სკოლიდან). აღსანიშნავია, რომ ჭაბუკთა მესამე თანრიგის ნორმატივი შეასრულა 15-მა მოსწავლემ. მეორე თანრიგის ნორმატივი — 21-მა და I თანრიგისა 2-მა სპორტსმენმა.

77-ე სკოლის სპორტულ მოედანზე ასპარეზობდნენ მოსწავლე კალათბურთელები. შეჯიბრება ტარდებოდა ოლიმპიური სისტემით. გოგონებიდან ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ 97-ე და 103-ე სკოლების კალათბურთელები. გაიმარჯვეს პირველებმა. ჭაბუკ კალათბურთელთა შორის პირველი ადგილი დაიკავეს 78-ე სკოლის მოსწავლეებმა.

რაიონის სასროლეთზე ჩატარდა წვრილკალიბრიანი შაშხანიდან სროლა. გაიმარჯვა 78-ე სკოლის გუნდმა.

**შ. ქირია**

## შეჯიბრებაში ჩაებნენ მუშა სპორტსმენები

ორჯონიკიძის სახელობის რაიონის ფრენბურთელთა შორის უძლიერესი აღმოჩნდა 56-ე სკოლის გუნდი. მეორეზეა 55-ე, მესამეზე — 49-ე სკოლის ფრენბურთელები.

წარმოება-დაწესებულებების ფრენბურთელთა ასპარეზობაში ქალთა შორის გაიმარჯვა აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის კოლექტივმა. მეორე ადგილი წილად ხვდათ „თბილგიდების", მესამე — „საქსახინწყალპროექტის" სპორტსმენებს. ვაჟთა შეჯიბრებაში ყველას აჯობა „თბილგიდების" გუნდმა.

**ი. ხაბეიშვილი**

# ხელბურთი

## დავნერგოთ ეს თამაში

ხელბურთი მეტად საინტერესო და მასობრივი თამაშია. მას თამაშობენ როგორც ვაჟები ისე ქალები.

ხელბურთის გუნდი შედგება 11 მოთამაშისაგან. თამაში მიმდინარეობს ფეხბურთის ჩვეულებრივ მინდორზე, რომელზეც მონიშნულია დამატებითი დახაზულობა. კარის ხაზიდან 11 მეტრის დაცილებით გავლებულია ნახევარწრე — ამაზე უფრო ახლო მანძილიდან კარში ბურთის სროლა არ შეიძლება. კარიდან 17 მეტრის დაცილებით პუნქტირით გავლებულია ხაზი თავისუფალი ტყორცნებისათვის. მოთამაშეთა განლაგება იგივეა, რაც ფეხბურთში.

თამაშის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ყოველი გუნდის მოთამაშენი ერთმანეთს აწოდებენ ბურთს, ცდილობენ მიუახლოვდნენ მოწინააღმდეგის კარს და გაიტანონ მასში ბურთი. თამაშის ხანგრძლიობა 60 წუთია 10-წუთიანი შესვენებით პირველი 30 წუთის შემდეგ.

მოთამაშეს უფლება აქვს ბურთი ხელთ ჰქონდეს არა უმეტეს 3 წამისა და ბურთით ხელში გაირბინოს მხოლოდ 3 ნაბიჯი. მოთამაშეს უფლება არა აქვს შეეხოს ბურთს მუხლზე დაბლა. მოწინააღმდეგისათვის ბურთის წართმევა შეიძლება მხოლოდ ცალი ხელით და გაშლილი ნიდაყვით. ნებადართულია ბურთის ტარება მისი მიწაზე დარტყმით ყოველ მესამე ნაბიჯზე. უხეში თამაშისათვის საკუთარ ნახევარზე ბურთის კარში გატანის ხიფათის დროს ინიშნება საჯარიმო ტყორცნა 13 მეტრიდან. ბურთის 3 წამზე მეტი დროით ხელში გაჩერებისა ან 3 ნაბიჯზე მეტის გადადგმისათვის ინიშნება თავისუფალი ტყორცნა დამნაშავე გუნდის მხარეს. უხეში თამაშისათვის შეიძლება მოთამაშის გაძევება მინდვრიდან 5 ან 10 წუთით.

ხელბურთს ჩვენს ქვეყანაში დიდი ხნის ტრადიცია აქვს, ჯერ კიდევ 1924-28 წლებში საბჭოთა სპორტსმენებმა ჩაატარეს საერთაშორისო შეხვედრები გერმანიისა და ავსტრიის გუნდებთან და ორივე შეხვედრაში გაიმარჯვეს — 12:4 და 8:3.

ომის შემდეგ ხელბურთმა დიდი გავრცელება ჰპოვა უკრაინაში და საბჭოთა არმიის სპორტსმენთა შორის. ამჟამად ხელბურთი კულტივირებულია აგრეთვე მოსკოვში, ლენინგრადში, ლატვიაში, ლიტვაში. შარშან გაიმართა საკავშირო შეჯიბრება 8 ქალაქის გუნდებს შორის. წელს ჩატარდება სსრ კავშირის პირველი ჩემპიონატი ხელბურთში, გარდა ამისა, განზრახულია საერთაშორისო შეხვედრების ჩატარებაც.

არსებობს ხელბურთის საერთაშორისო ფედერაცია, რომელიც ყოველი სამი წლის შემდეგ ატარებს მსოფლიო პირველობას. გასულ წელს ეს ტიტული მოიგო დასავლეთ გერმანიის გუნდმა.

დაჭერა და ტყორცნა ხელბურთის ტექნიკის ორი უმთავრესი და ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული ელემენტია.

ბურთს ჩვეულებრივ იჭერენ ორი ხელით — ასე უფრო მოხერხებულია მისი მაშინვე ვადაწოდება პარტნიორისათვის. ბურთის დასაჭერად საჭიროა მის შესახვედრად წინ გავიტანოთ ორივე ხელი, ამ დროს ხელის მტევნები ქმნიან ნახევარწრეს, სადაც თავისუფლად თავსდება ბურთი. ბურთთან შეხების მომენტში მას სწრაფად უნდა შემოვავლოთ თითები და ოდნავ მივიზიდოთ მკერდისკენ ტყორცნის ძალის შესამცირებლად.

ტყორცნებს მიმართავენ გადაცემისა და კარის აღების დროს. იგი უმეტესად სრულდება ცალი ხელით.

ვაჟთა გუნდებში უფრო გავრცელებულია ტყორცნა ზევიდან კრით. მოთამაშეს მაღლა აქვს ხელისგულზე დადებული ბურთი და ჰკრავს მას სასურველი მიმართულებით. სხეულის სიმძიმე ერთდროულად გადადის წინ გატანილ ფეხზე. ასეთი ტყორცნა ხშირად წარმოებს ნახტომში. მოთამაშე მიწიდან აიძენება მარცხენა ფეხით და ახტომის დროს ბურთიანი მარჯვენა ხელი გააქვს უკან. ნახტომის უმაღლეს წერტილში იგი მკვეთრად ისვრის ბურთს წინ.

ტყორცნას ქვევიდან მიმართავენ მოკლე მანძილზე ვადაცემისას და კარში დაბალი ბურთის გაგზავნის დროს. მოთამაშე ამ დროს ბურთი[ს] გაშლილი თითებით მიიკრავს ბურთს წინამხართან და გააქვს იგი უკან, ფეხები ოდნავ მოღუნულია მუხლებში, კორპუსი ვერტიკალურ მდგომარეობაშია, სხეულის სიმძიმე — მარჯვენა ფეხზე. შემდეგ მოთამაშე გამართავს ფეხებს, წინ გააქვს მარჯვენა ფეხი და ისვრის ბურთს. ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადადის იმ ფეხზე, რომელიც წინ იმყოფება.

არსებობს ბურთის გვერდიდან ტყორცნის ხერხი, რაც ძლიერ წააგავს ბადროს ტყორცნას. მოთამაშეს ბურთი უჭირავს ისე, როგორც ქვევიდან ტყორცნისას და გააქვს იგი უკან მოტრიალებით ოდნავი ბუქნის მდგომარეობაში. მისი ხელი ხაზავს რკალს ჰორიზონტალურ სიბრტყეში, რის დროსაც სიმძიმე გადადის წინა ფეხზე. როცა ხელი გამოდის წინ, მოთამაშე გაშლის მტევანს და ტყორცნის ბურთს. ასეთი ტყორცნა დიდი ძალისაა, მაგრამ ხშირად არაზუსტია.

იშვიათად მიმართავენ ასეთივე ტყორცნას ზევიდან. შესრულების ტექნიკის მხრივ იგი ძალზე წააგავს გვერდიდან ტყორცნას, მაგრამ იმ გამსხვავებით, რომ ხელი მოძრაობას ასრულებს არა ჰორიზონტალურ, არამედ ვერტიკალურ სიბრტყეში.

შესასრულებლად რთული, მაგრამ მოწინააღმდეგისათვის ძნელი და მოულოდნელია ტყორცნა უკან, როცა მოთამაშე კარის მიმართ დგას ზურგით, სხეულის სიმძიმე მარცხენა ფეხზეა გადატანილი. ნახევრად მოღუნული ხელით მას ბურთი მიკრული აქვს წინამხრის შიდა ნაწილთან. ასეთ მდგომარეობაში მან უნდა ჩაბუქნოს, შემდეგ გამართვის დროს გაიტანოს ბურთიანი ხელი უკან, გა[შა]ლოს მტევანი და [ტყორცნოს] ბურთი.

ბურთის ტარება შეიძ[ლება] მიწაზე დარტყმით. ჰაერ[ში] ან ამ ორი ელემენტის შერ[წყმით]. ბურთის ტარება დას[ა]ხლო[ე]ბ[ი]თ[ა], როგორც კალათბურთ[ში]: ბურთის მიწაზე დარტყმ[ით] ყოველი სამი ნაბიჯის შემდეგ. ჰაერში აგდება უნდა მოხდ[ეს] მაღლა, დაახლოებით 6-8 [მეტრით] წინ აგდებულ ბურთს [მოთამაშე] უნდა მიუსწროს და დაიჭ[ი]რ[ოს]... ლოებით მუცლის სიმაღ[ლეზე]. [ამ] ხერხით ბურთის ტარებისა[ს] უძლია გაიავითაროს დი[დი] რაფე.

როცა მომეცადინეები შე[ისწავლიან] ბურთის ტარების ელემენტ[ებს] ... ლება გადავიდეთ ცრუ და [რთუ]ლ მოძრაობათა შესწავლ[აზე].

კარის დაცვა მეკარის ნი[ჭზე და]... ნადმე განსხვავდება ფეხბურ[თისაგან]. ხელბურთში მეკარეს არა აქ[ვს უფ]... რო შეხება მოწინააღმდეგე ... მელებთან, ვინაიდან წესები[თ] ... მად კარში ბურთის სროლა 1[1 მეტრ]ზე ახლო მანძილიდან არ[...]. ამიტომ მეკარის პირველი ... მოიგერიოს ბურთი თავი[...] მეტრის დაცილებით, ამ ზო[ნაში] სრულიად თავისუფლად ... აიღოს ხელში ბურთი. ... თებს მეკარე იგერიებს ... ხელბურთის პრაქტიკაში 10 ... გატანა კარში ნორმალურ ... ითვლება.

საქართველოში ყველა ... არსებობს იმისათვის, რ[ომ] ბურთმა მიიღოს ფართო ... ლება. საამისოდ საჭიროა ... ბის ჩამოყალიბება სპორ[ტულ საზოგა]დოებებში და ფიზკულტ[ურის კო]ლექტივებში. ეჭვი არ არ[ის] საქართველოს ხელბურთელ[ები] ეძლებათ ჩვენი ქვეყნის ... ხელბურთელთა რიგებში ჩ[...]

**ბ. კუდრიავ[...]**
**ხელბურთის საკავშირო [სექ]ციის თავმჯდომარე.**

# მიუსაფარნი და მიტოვებულნი

## ყვარელში ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ

ადრეც არხეინად გრძნობდნენ თავს და ახლა ხომ კოჭი ალჩუზე დაუჯდათ. თუ მუშაობას მოგვთხოვენ, — ფიქრობდნენ ვულდაწმვიდებულნი, — შეგვიძლია პირდაპირ მივახალოთ: ჩვენ უბინაონი ვართ, ჯერ პირობები შეგვიქმენით და შემდეგ მუშაობა მოგვთხოვეთ, მანამდე კი, ნურას უკაცრავად, თითსაც არ გავანძრევთ.

ჰო, მართლა, სიტყვამ მოიტანა და აქვე ვიტყვით. მათ თითი არც მაშინ გაუნძრევიათ, როცა სამუშაო ოთახიდან გამოასახლეს. ან რატომ უნდა შეწუხებულიყვნენ? მიზეზს ეძებდნენ რაიონში სპორტული მუშაობის ჩაშლის გამართლებისათვის და მიზეზიც საამაყოდ თავისი ფეხით მოადგათ კარზე.

ყვარლელ ფიზკულტურელებს კარგად ახსოვთ ეს სურათი: 1954 წლის ზამთრის ერთ სუსხიან დილას „მინკავშირის" წარმომადგენელმა გულდაწყვეტილი ... აუკრა ფიზკულტურისა და სპორტის რაიონული კომიტეტისა და „კოლმეურნის" რაისაბჭოს თავმჯდომარეებს. მათაც ვაი-ვაგლახით შეიდეს ზურგზე სამუშაო მაგიდები და ქუჩაში გამოვიდნენ — ქვეყანა დიდია, ვინმე შეგვიკედლებსო. მაგრამ მოწყალების თვალით არავინ გადმოხედა, დარჩნენ ღია ცისქვეშ მიუსაფარნი. როცა სიცივემ ძალზე მოუჭირა, მაშინ კი ერთხელ დანანებით გადახედეს მიტოვებულ „ოჯახს", სადაც უსაქმური ახალგაზრდები შესახლებულიყვნენ.

ამ დღეს პირველად დაინთო ცეცხლი მიუსაფართა „ნაოჯახარში" და მას შემდეგ ვინ იცის რამდენმა დაიწვა ხელი ამ ცეცხლის ალზე (მოგეხსენებათ ბილიარდში ყაიმი არ არსებობს). მას შემდეგ ფიზკულტურის კომიტეტის ყოფილ სამუშაო ოთახში მოწყობილ საბილიარდოში დილიდან ნაშუაღამევამდე გაისმის გინება, ზოგჯერ კი საქმე მუშტი-კრივზეც მიდის...

ფიზკულტურის რაიონული კომიტეტი და „კოლმეურნის" რაისაბჭო ხანგრძლივი ხეტიალის შემდეგ წყალთა მეურნეობის მუშაკებს შეეხიზნენ. — თქვენთვის იყავით ჩუმად, არ შეგვაწუხოთ, — გააფრთხილეს აქ ისინი, — თორემ... — და ხელით კარებისაკენ მიუთითეს. ამ „თორემმა" ისე დააფრთხო ეს ფიზკულტურული მუშაკები, რომ თავიანთ სამუშაო მაგიდებს კვირაში ერთხელ თუ მოინახულებენ, მაშინაც თითის წვერებზე შედიან ოთახში.

ამის და ბევრი სხვა მიზეზის გამო ფიზკულტურისა და სპორტის რაიონული კომიტეტი (თავმჯდომარე გ. სუმბაძე) და „კოლმეურნის" რაისაბჭო (თავმჯდომარე გ. ქანდაურიშვილი) მოწყდნენ აქტივს, ფიზკულტურულ კოლექტივებს, რამაც თავისი დაღი დაასვა რაიონში სპორტულ საქმიანობას. აი ფაქტებიც: გასულ წელს აქ დიდი გარღვევები იყო სპორტსმენ თანრიგოსანთა და მშთ ნიშნოსანთა მომზადების სახელმწიფო გეგმების შესრულებაში. მესამე თანრიგზე 94-ის ნაცვლად მოამზადეს 55 კაცი, ხოლო მშთ მეორე საფეხურის ნორმატივები 30-ის მაგიერ მხოლოდ 5-მა ფიზკულტურელმა ჩააბარა. ფიზკულტურის კომიტეტში განსაკუთრებით ბევრი იფიქრეს მეორე თანრიგოსანი სპორტსმენების „მომზადებაზე". ბოლოს გამოსავალსაც მიაგნეს. საგულდაგულოდ შეავსეს ოქმის გრაფები და „კაბინეტში მომზადებულ თანრიგოსანთა" მასალები დასამტკიცებლად გადაუგზავნეს რესპუბლიკურ კომიტეტს. ნათქვამია, ტყუილს მოკლე ფეხები აქვსო. ეს ტყუილი კი ისე უფეხო გამოდგა, რომ ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტიდან გამოსვლაც ვერ შეძლო.

აბსოლუტურად უმოქმედობენ საკოლმეურნეო ფიზკულტურული კოლექტივები. „კოლმეურნის" რაისაბჭოს არ მოუმზადებია არც ერთი ნიშნოსანი, არც ერთი თანრიგოსანი, არ ჩაუტარებია არც ერთი შეჯიბრება, მით უმეტეს, რომ ბევრ კოლმეურნეობაში აყვანილი ჰყავთ ფასიანი ინსტრუქტორები. ფიზ[კულტუ]რული მუშაობა მთლიანად [ჩაშლი]ლია ყვარლის სტალინის [სახელო]ბის, ახალსოფლის ლენინის [სახე]ლობის, ჭიკაანის ხრუშჩოვის [სახე]ლობის, გავაზის ვოროშილო[ვის სა]ხელობის, შილდის კუიბიშევ[ის,] ორჯონიკიძის სახელობის ... კოლმეურნეობებში. გ. ქანდა[ური]შვილი ადრე ფიზკულტურის კ[ომიტეტის] თავმჯდომარე იყო, მაგრამ ... ბის ჩაშლისათვის გაათავ[ისუფლეს] და ...„კოლმეურნის" რაისაბ[ჭოს თავ]მჯდომარეობა შესთავაზეს. ... მაინც გამოიჩენს თავსო, — ... რობდნენ ალბათ კომკავშირ[ის რაი]კომში. ასეც მოხდა. გ. ქა[ნდაური]შვილმა მართლაც გამოიჩინა [თავი] ...ოდენ უმოქმედობით.

საორგანიზაციო კომიტეტ[ს დღემ]დე არ შეუდგენია რაიონულ[ი სპარ]ტაკიადის დებულება. არ არ[ის შექმ]ნილი მსაჯთა კოლეგია, ... ლექტებელია ნაკრები ... ყვარლისა და ენისლის მტ[...] მოუყალიბებელია ფიზკულ[ტურის] კოლექტივები. ამიტომ მექა[...] რები სამუშაოსაგან თა[ვისუფალ] დროს სპორტულ სექციებში ფიერი ვარჯიშის ნაცვლად ... ეფიცხებიან.

დრო არ ითმენს, რა[იონული] და რესპუბლიკური სპორტ[ული ...] კარზეა მომდგარი, საჭიროა ... რელი ზომები.

**ა. ხუ[...]**

**ჩვენი სპეც. კორესპონდ[ენტი]**



«ლ ე ლ ო»
მე-2 გვ. № 25 (935)

# რესპუბლიკის ჩემპიონის სახელისათვის

## საქართველოს XVII საჭადრაკო ჩემპიონატი

### მეთორმეტე ტური

საერთო ყურადღებას იქცევდა გურგენიძე-ბლაგიძის შეხვედრა. დებიუტში გურგენიძემ შეავიწროვა შავების მეფის ფრთა და ორ პაიკში მხედრის შეწირვით შეტევაზე გადავიდა. ბლაგიძე იძულებული იყო ეტლი დაეთმო, რის შემდეგ მისი მდგომარეობა უიმედო აღმოჩნდა. პარტია გადაიდო.

მაჭავარიანმა სოროკინთან დაძაბული ბრძოლის შემდეგ თამაში პაიკთა მოსაგებ დაბოლოებაში გადაიყვანა და მეტოქე აიძულა დანებებულიყო. გერსამიამ შუა თამაშში არასწორად შეწირა გერშკოვიჩს პაიკი და წააგო. ზვიადაძემ გასიევთან ენერგიული თამაშით 36-ე სვლაზე დაამბათა მოწინააღმდეგის მეფე. ბუსლაევმა მოუგო გუგუნავას. სამი პარტია გადაიდო.

### მეცამეტე ტური

დიდ ინტერესს იწვევდა ტურნირის ლიდერების ბუსლაევისა და შიშოვის შეხვედრა. მათი პარტია თავიდან მშვიდობიანად მიმდინარეობდა, მაგრამ შიშოვმა მშვიდ თამაშს რთული ბრძოლა არჩია და მეფის ფრთაზე წამოიწყო შეტევა. ბუსლაევი კარგად იცავდა თავს, სანამ ცაიტნოტში მოხვდებოდა. შემდეგ ბუსლაევმა რამდენიმე არასწორი სვლა გააკეთა და შიშოვს საშუალება მისცა სწრაფად გადმოეყვანა ფიგურები მეფის ფრთაზე.

ბლაგიძემ კარგად ისარგებლა დემურიას შეცდომით და გაიმარჯვა. რაზოვსკიმ სწორად გამოიყენა მაჭავარიანის მიერ ცენტრში თამაშის ნაადრევი წამოწყება. იგი ლაზიერით და მსუბუქი ფიგურებით შეიჭრა მეფის ფრთაზე და გარდუვალი შამათის გამო აიძულა მაჭავარიანი დანებებულიყო.

საინტერესო თამაშის შემდეგ ყაიმით დამთავრდა სოროკინ-გურგენიძის, გიორგაძე-გასიევისა და ზვიადაძე-გერსამიას შეხვედრები.

დანარჩენი პარტიები არ დამთავრებულა.

### გადადებული პარტიების დამთავრება

თამაშის განახლებისას ბუსლაევმა ადვილად მოიგერია შიშოვის უშუალო მუქარები და პარტია ლაზიერების დაბოლოებაში გადაიყვანა. შიშოვი, რომელსაც ზედმეტი პაიკი ჰქონდა, შეუპოვრად ცდილობდა თეთრების პოზიციაში შეჭრას, მაგრამ ბუსლაევი ერთადერთი სვლით იცავდა თავს. 83-ე სვლაზე, 10 საათის თამაშის შემდეგ, ეს საინტერესო პარტია ყაიმით დამთავრდა.

თამაშის განუახლებლად ბლაგიძე ნებდა გურგენიძეს, ხოლო მაჭავარიანი—ბლაგიძეს. გიორგაძემ მოუგო ფურინდაშვილს, დემურიამ — ელბაქიძეს. შეუპოვარი ბრძოლის შემდეგ ყაიმზე შეთანხმდნენ ელბაქიძე-ფურინდაშვილი და გერშკოვიჩ-კალატოზიშვილი.

XIII ტურიდან გადმოტოვებული კალატოზიშვილ-გუგუნავას პარტია საინტერესო თამაშის შემდეგ თეთრების უპირატესობით გადაიდო.

### მეთოთხმეტე ტური

ბრძოლა ჩემპიონის სახელისათვის სულ უფრო მწვავე ხასიათს ღებულობს. ტურნირის ლიდერი ბუსლაევი თამაშში დიდ მონდომებას იჩენს. მაჭავარიანთან პარტიაში მან კარგად გაითამაშა დებიუტი და ხელთ იგდო ინიციატივა. მეფის ფრთაზე მწვავე შეტაკების შემდეგ ბუსლაევმა მოიგო ხარისხი. 31-ე სვლაზე მაჭავარიანმა თავი დამარცხებულად ცნო. ჩემპიონატის მეორე ლიდერის ბ. გურგენიძის შეხვედრა რაზოვსკისთან რთული ბრძოლით აღინიშნა. შუა თამაშში რაზოვსკიმ განავითარა შეტევა ცენტრში, მაგრამ შემდეგ ვერ გამოიყენა უპირატესობა. გურგენიძემ თამაში გაათანაბრა და ყაიმს მიაღწია.

გერშკოვიჩმა კომბინაციური შეტევით 37-ე სვლაზე დაამარცხა ზვიადაძე. მხოლოდ 26 სვლა გაკეთდა კალატოზიშვილ-გუგუნავას პარტიაში. კალატოზიშვილმა დამაჯერებლად გამოიყენა მეტოქის შეცდომები და გაიმარჯვა. პირველი გამარჯვება მოიპოვა ელბაქიძემ, რომელიც გასიევს ეთამაშებოდა. სოროკინმა მოუგო დემურიას. ყაიმით დამთავრდა გერსამია-გიორგაძის შეხვედრა. ორი პარტია გადაიდო.

ამრიგად, XIV ტურის შემდეგ ა. ბუსლაევს 12 ქულა აქვს, ბ. გურგენიძეს — 11, მ. შიშოვს — 10 და 2 გადადებული პარტია, თ. გიორგაძეს — 9,5, გ. კალატოზიშვილს — 9 და ა. შ.

## ი. ავერბახისა და რ. ხოლმოვის გამარჯვება

დრეზდენში ერთ თვეს გრძელდებოდა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობდა 9 ქვეყნის 16 მოჭადრაკე.

შინაარსიანი სპორტული ბრძოლის შემდეგ ტურნირში I-II პრიზი მოიპოვეს საბჭოთა მოჭადრაკეებმა გროსმაისტერმა ი. ავერბახმა (მოსკოვი) და საერთაშორისო ოსტატმა რ. ხოლმოვმა (ვილნიუსი). III ადგილი წილად ხვდა ახალგაზრდა რუმინელ ოსტატს ჩიკოლტიას, ხოლო IV ადგილზე გამოვიდა ცნობილი ჩეხი გროსმაისტერი ლ. პახმანი.

## კრივი



### საქართველოს 1956 წლის გუნდური პირველობა

თბილისში დაიწყო რესპუბლიკის გუნდური პირველობა კრივში, რომელშიც მონაწილეობენ „პიშჩევიკი", „სპარტაკი", „ბურევესტნიკი" (2 გუნდი) და თბილისის ოფიცერთა სახლის კოლექტივი.

პირველად რინგზე ერთმანეთს შეხვდნენ „ბურევესტნიკის" მეორე გუნდი და „პიშჩევიკი". უმჩატეს წონაში პიშჩევიკელ მელიქიანს აშკარა უპირატესობის გამო მეორე რაუნდში გამარჯვება მიენიჭა ღლონტთან. ამის შემდეგ გამოცდილმა ფაროიანმა თავის გუნდს მეორე ქულა მისცა ახალგაზრდა პერსპექტიულ მოკრივე ელაშვილთან შეხვედრაში. უინტერესო გამოდგა მალალაშვილისა („ბურევესტნიკი") და მანუკიანის („პიშჩევიკი") ბრძოლა, რომელიც მანუკიანმა მოიგო. მსუბუქ წონაში გრიგორიანმა დაამარცხა გერსამია, ხოლო ვარდანიანმა — ოგანეზოვი და ანგარიში გახდა 5:0 „პიშჩევიკის" სასარგებლოდ.

მეტად საინტერესო გამოდგა კონკოვისა („ბურევესტნიკი") და ბარნაბიშვილის („პიშჩევიკი") შეხვედრა. კონკოვი მშვიდად, აუღელვებლად, გეგმიანად იბრძოდა და მიაღწია კიდეც გამარჯვებას. ეს იყო ერთადერთი ქულა, რომელიც „ბურევესტნიკის" მეორე გუნდმა აიღო ამ დღეს. შემდგომ შეხვედრებში შამიროვმა აშკარა უპირატესობით მოუგო პონომარიოვს, ძმებმა დარბაისელებმა მოუგეს: გივიმ — ლეკიშვილს, ნოდარიმ — ამაშუკელს. დასასრულს არუთინოვმა ნოკაუტი გაუკეთა შარკოს და „პიშჩევიკმა" გაიმარჯვა ანგარიშით 9:1.

მხოლოდ 6 ბრძოლა შედგა თბილისის ოფიცერთა სახლის გუნდსა და „სპარტაკს" შორის. ორივე საშუალო და ქვემძიმე წონებში არმიელებს საერთოდ არ ჰყავდათ მონაწილენი, ხოლო პირველ [illegible] წონაში სპარტაკელ [illegible] წინააღმდეგ არ გამოვიდა ხაჩიევი.

ექვს შეხვედრაში სპარტაკელებმა მოიგეს მხოლოდ ერთი, — მჩატე წონაში ჩატუნიძემ დაამარცხა მნაცაკანოვი. [illegible] არმიელთა უპირატესობით. [illegible] შინაარსიანი, ტექნიკური ბრძოლა გაიმართა ბიძიასა და შალიტაევს შორის. სამი რაუნდის შემდეგ უკეთესი აღმოჩნდა ბიძია.

არმიელებმა აბაზაძემ და ვ. ბაბახანიდმ დაამარცხეს თავისი მოწინააღმდეგეები მარქაროვი და კონიაკინი და შეხვედრა დამთავრდა ანგარიშით 5:5. დებულების თანახმად გამარჯვება მიენიჭა „სპარტაკს", ვინაიდან მათ მოწინააღმდეგეებს ოთხი ნოლი ჰქონდათ.

შეჯიბრება გრძელდება.

* * *

სურათზე: კონკოვისა და ბარნაბიშვილის ბრძოლის მომენტი.

## რედაქციის ფოსტიდან

### ბაზა არის, შედეგი კი დაბალია

გასული წლის დამლევს საქართველოს მონადირეთა კავშირმა მახარაძეში მოაწყო „მონკავშირის" 5 ორგანიზაციის პირველობა სასტენდო სროლაში. შეჯიბრებაში მასპინძლები არც თუ ისე სახარბიელო შედეგებით გამოვიდნენ მაშინ, როცა მახარაძეში სპორტის ამ სახეობის მრავალი მოყვარულია. გუნდიც დაკომპლექტებულია ახალგაზრდა, ნიჭიერი სპორტსმენებით. რამ განაპირობა ის ფაქტი, რომ აქაური მსროლელები შეჯიბრებაზე თავიანთ შესაძლებლობაზე დაბალი შედეგებით გამოვიდნენ?

ფიზკულტურის რაიონული კომიტეტი და „მონკავშირის" გამგეობა სათანადოდ არ ზრუნავენ სპორტსმენთა სრულწლიური წვრთნისათვის. ვარჯიშებს აქ მხოლოდ შეჯიბრებების წინა დღეებში იწყებენ და 75-100 სამიზნის დაზიანებით კმაყოფილდებიან. სროლა წყვილ სამიზნეებზე და მისვლით სროლა კი მთლიანად მივიწყებულია.

რაიონში აქვთ კარგი სტენდი, არიან საკმაოდ ძლიერი მსროლელები, რომლებსაც ნაყოფიერი წვრთნის შემდეგ შეეძლებათ წარმატებით გამოვიდნენ რესპუბლიკურ შეჯიბრებებზე.

ჯ. მოწონელიძე

### დარბაზია თუ კლუბი?

სამტრედიის რაიონში არსებობს ბავშვთა სპორტული სკოლა, რომლის შენობა მოთავსებულია ქალაქის პირველი საშუალო სკოლის ეზოში. დირექცია სპორტულ დარბაზს სიმღერისა და ცეკვის წრეების მეცადინეობისათვის იყენებს იმ საათებში, როცა სპორტული სექციები უნდა ვარჯიშობდნენ.

საინტერესოა რას ფიქრობდა განათლების რაიონული განყოფილება, როცა საშუალო სკოლის დირექციას სპორტული დარბაზის არადანიშნულებისამებრ გამოყენების ნებართვა მისცა?

ი. ცაგარეიშვილი

### მოედანი გადახნეს

წულუკიძის რაიონის სოფელ ძედილეთში ბევრია ახალგაზრდობა, მაგრამ მათ შორის არავითარი ფიზკულტურული მუშაობა არ წარმოებს, არ არის სპორტული ბაზები, ინვენტარი.

სოფლის მოსწავლეებმა დასვეს საკითხი ფეხბურთის მოედნის მოწყობის შესახებ, მაგრამ ვერც მოედანი მიიღეს და ვერც პასუხი. მაშინ მათ თვით გამონახეს გამოუყენებელი ფართობი, გაასუფთავეს იგი და ფეხბურთის მოედნად აქციეს. კოლმეურნეობის გამგეობამ ანგარიში არ გაუწია ახალგაზრდობის მოთხოვნებს და მოედანი გადახნა.

ი. ჩიხლაძე

## იმრავლოს თქვენმა რიგებმა

### სპორტის ახალი ოსტატები

#### ო. შავდია



ო. შავდიამ ტანვარჯიშში წვრთნა რიგაში 1945 წელს დაიწყო. აქვე შეასრულა ჭაბუკთა I თანრიგის ნორმატივი. შემდეგ მოზრდილთა თანრიგიც მოიპოვა და მოსწავლეთა შეჯიბრებებში წარმატებას მიაღწია. 1947 წელს მან დაიმსახურა ჯერ რიგის, ხოლო შემდეგ ლატვიის ჩემპიონობა.

საშუალო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ო. შავდია უმაღლესი ფიზკულტურული განათლების მისაღებად საქართველოში დაბრუნდა და ფიზკულტურის ინსტიტუტში განაგრძო სწავლა. საბჭოთა ფიზკულტურული მოძრაობის თეორიული საფუძვლების ათვისებასთან ერთად სისტემატურად ვარჯიშობდა მისთვის ყველაზე საყვარელ სპორტის სახეობაში — ტანვარჯიშში. ინსტიტუტში შეასრულა I თანრიგის ნორმატივი და მწვრთნელ ნ. ბახუტაშვილის ხელმძღვანელობით ვარჯიში დაიწყო ოსტატთა პროგრამის ასათვისებლად.

გასული წლის ოქტომბერში თბილისში, ლენინის სახელობის დარბაზში ჩატარებულ მოსკოვისა და თბილისის ტანმოვარჯიშეთა ნაკრები გუნდების საქალაქთაშორისო მატჩი მან 104,55 ქულით დაამთავრა, ხოლო ერთი თვის შემდეგ ჩატარებულ ტანმოვარჯიშეთა რესპუბლიკურ პირველობაზე მოაგროვა 111,1 ქულა და საგრძნობლად გადააჭარბა ოსტატის ნორმატივს.

ფიზკულტურის ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ შავდია ნაყოფიერ პედაგოგიურ მუშაობას ეწევა. დღემდე მან აღზარდა 12 მესამე, 10 მეორე და 2 პირველთანრიგოსანი სპორტსმენი.

#### ლ. ახვლედიანი



ცაგერის რაიონის სოფელ ორხევის მკვიდრმა ლ. ახვლედიანმა საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ საქართველოს მეორე უდიდეს სამრეწველო ცენტრს ქუთაისს მიაშურა და პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზკულტურის ფაკულტეტზე შევიდა. სწორედ ამ წელს მიიღო მონაწილეობა ყაზბეგის მასობრივ ალპინიადაში და „სსრკ ალპინისტის" პირველი საფეხურის ნიშანი მოიპოვა. შემდეგში საქართველოს ალპური კლუბის მიერ მოწყობილ საკლასიფიკაციო ასვლებში მონაწილეობით შეასრულა მეორე თანრიგის ნორმატივი.

ჯერ კიდევ ინსტიტუტში ყოფნის დროს 1950-51 წლებში ლ. ახვლედიანი აქტიურად მონაწილეობდა უშბის, დიხ-თაუს, წურუნგალასა და აილამას ტრავერსებში და პირველთანრიგოსანი გახდა. ერთი წლის შემდეგ მან მონაწილეობა მიიღო ცენტრალური კავკასიონის გავლით წურუნგალა-თეთნულდის ლაშქრობაში.

1953 წელს დაიწყო მზადება პამირის მთების დასალაშქრავად. დაკომპლექტდა ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში ლევანიც იქნა შეყვანილი. პამირის ექსპედიციამ მის სპორტულ ბიოგრაფიაში მარქსის მწვერვალის აღება ჩაწერა.

პამირის მეორე ექსპედიციაში საქართველოს ალპინისტთა ჯგუფმა ი. კახიანის, ჯ. მეძმარიაშვილის, მ. ხერგიანისა და ლ. ახვლედიანის შემადგენლობით 21 აგვისტოს ღამის ყინვარის გავლით წარმატებით განახორციელა საბჭოთა კავშირის უმაღლეს მწვერვალზე — სტალინის პიკზე ასვლა.

---

ხაშურის რკინიგზელთა კულტურის სახლში სამი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა „კოლმეურნის" რესპუბლიკური საბჭოს პირად-გუნდური პირველობა სიმძიმეთა აწევაში.

პირველად ფიცარნაგზე გამოვიდნენ მჩატე წონის სპორტსმენები. საინტერესო სპორტულ ბრძოლაში გაიმარჯვა სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის წარმომადგენელმა ნ. გოლიჯაშვილმა შედეგით 252,5 კილოგრამი. გამარჯვებულმა აკვრასა და ატაცში, აგრეთვე სამჭიდის ჯამში დაამყარა საზოგადოების რეკორდები. მეორე ადგილზე გამოვიდა აფხაზეთის წარმომადგენელი ა. ჩოლოკიანი, რომელმაც აჭიმვაში აჩვენა 77,5 კილოგრამი და დაამყარა რესპუბლიკური საბჭოს რეკორდი.

ქვემსუბუქ წონაში, როგორც მოსალოდნელი იყო, ჩემპიონი გახდა „კოლმეურნის" ექვსგზის ჩემპიონი მახარაძელი დ. მალაზონია, რომელმაც აჭიმვაში აჩვენა 90 კილოგრამი და დაამყარა რესპუბლიკური საბჭოს რეკორდი.

მსუბუქ წონაში გაიმარჯვა მ. ანანიკოვმა (წალკის რაიონი), ქვესაშუალო წონაში კარგი შედეგები ჰქონდა ქუთაისის გუნდის წარმომადგენელს ი. ყუბანეიშვილს, რომელმაც სამივე მოძრაობაში დაამყარა „კოლმეურნის" რესპუბლიკური საბჭოს რეკორდები — 105+105+135.

საშუალო წონაში ჩემპიონი გახდა ზ. ჩოჩიევი (სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქი). გამარჯვებულმა სამივე მოძრაობაში გადააჭარბა „კოლმეურნის" რეკორდებს —97,5 100+132,5. ქვემძიმე წონაში ჩემპიონის სახელი დაისაკუთრა პ. ნიქაბაძემ (წყალტუბოს რაიონი).

მძიმე წონაში გამარჯვებული გამოვიდა ი. ჯაფარიძე (მახარაძე). მეორე ადგილი წილად ხვდა აფხაზეთის წარმომადგენელს გ. ჭანტურიას.

სურათებზე: მარცხნიდან მარჯვნივ — ნ. გოლიჯაშვილი, დ. მალაზონია, მ. ანანიკოვი, ი. ყუბანეიშვილი, ზ. ჩოჩიევი, პ. ნიქაბაძე, ი. ჯაფარიძე.

გუშინ საბჭოთა სპორტულმა საზოგადოებრიობამ აღნიშნა რუსი გროსმაისტერის მსოფლიო ჩემპიონის გარდაცვალებიდან 10 წლისთავი.

ა. ალიოხინი გამოჩენილი რუსი მოჭადრაკის მ. ჩიგორინის პროგრესული საჭადრაკო იდეების განმგრძობი იყო. საბჭოთა მოჭადრაკეები ალიოხინს განსაკუთრებით აფასებენ იმიტომ, რომ მან განავითარა და გაალრმავა რუსული საჭადრაკო სკოლის შემოქმედებითი პრინციპები, რომლებზედაც იზრდებოდნენ და იზრდებიან უძლიერესი საბჭოთა ოსტატები.

ჭადრაკის ისტორიაში ალიოხინის შემოქმედებამ წარუშლელი კვალი დატოვა. მას უზომოდ უყვარდა ჭადრაკი, სწორედ ამიტომ იგი საყვარელ ხელოვნებას დაუღალავად, მთელი არსებით ემსახურებოდა. საჭადრაკო ასპარეზზე 38 წლის მოღვაწეობის მანძილზე ა. ალიოხინს მონაწილეობა მიუღია 87 საერთაშორისო ტურნირში და 62-ჯერ აუღია პირველი პრიზი.

ა. ალიოხინმა 1927 წელს ხ. კაპაბლანკას დამარცხებით მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის დაფნის გვირგვინი და იგი სიკვდილამდე ატარა.

ა. ალიოხინმა საზოგადოებრიობის მოწვევით ორჯერ შემოიარა მსოფლიოს ქვეყნები, მათ შორის ჭადრაკის სამშობლო ინდოეთიც ინახულა. გასტროლებში ალიოხინი აწყობდა დაფაზე დაუხედავად ერთდროულ თამაშის სეანსებს, რაც ჭადრაკის მოყვარულების დიდ ინტერესს იწვევდა.

განსაკუთრებით დიდი ღვაწლი მიუძღვის ალიოხინს საკომბინაციო შემოქმედების სრულყოფასა და განვითარებაში. საბჭოთა მოჭადრაკეები სწავლობენ ალიოხინის პარტიებს, რომლებიც მათ საჭადრაკო ბრძოლისათვის კონკრეტულ შემოქმედებით მიდგომას ასწავლის.

ა. ალიოხინის შემოქმედება საჭადრაკო ხელოვნების უჭკნობი მარგალიტია.

1916 წლის მაისში კიევში საჭადრაკო გასტროლებზე ჩამოვიდა პეტერბურგის 1914 წლის საერთაშორისო ტურნირის პრიზიორი, რუსეთის ჩემპიონი, ახალგაზრდა გროსმაისტერი ა. ალიოხინი.

მაშინ მე, სავსებით ნორჩ მოჭადრაკეს, რომელსაც მხოლოდ გიმნაზიის პირველობაში მქონდა გამარჯვება მოპოვებული, დიდი სურვილი მქონდა დავსწრებოდი ალიოხინის გამოსვლებს და ერთდროული თამაშის სეანსში მასთან ერთი პარტია მაინც მეთამაშა. მაგრამ როგორ გამეკეთებინა ეს? იმ დროს ხომ საჭადრაკო კლუბში, სადაც ალიოხინის სეანსი ეწყობოდა, მოსწავლეებს დასწრება აკრძალული ჰქონდათ?

ვიხმარე ხერხი: ჩავიცვი ჩემი უფროსი სტუდენტი ძმის ფორმა, რომელიც, რასაკვირველია, არ მომერგო, ჩამოვიფხატე ქუდი და კლუბს მივადექი. კლუბის წევრებმა ეჭვის თვალით გადმომხედეს, მაგრამ ბოლოს წინადადება მომცეს ხელი მომეწერა კლუბის წიგნში და გადამეხადა 2 მანეთი სეანსში მონაწილეობისათვის. მე მაგიდის ბოლოში დავიკავე ადგილი.

დარბაზში შემოვიდა ალიოხინი, რომელსაც ქალაქის უძლიერესი მოჭადრაკეები ახლდნენ. იგი ღიმილით მიესალმა მრავალრიცხოვან მაყურებელს და უმალვე დაიწყო სეანსი...

ვღელავდი... ალიოხინმა მეფის გამბიტი შემომთავაზა. ეს დებიუტი იმ დროს ძალიან პოპულარული იყო (როგორც დღეს ქველინდური და სიცილიური დაცვა) და მე მისი ვარიანტები კარგად ვიცოდი.

ალიოხინი სწრაფად უვლიდა მაგიდებს და თამაშის სადებიუტო სტადიაში თითქმის არ ფიქრობდა. გროსმაისტერმა შემომთავაზა ორი პაიკის შეწირვა და ძლიერი იერიშის შექმნა. მაგრამ შემდგომში იგი არასწორად თამაშობდა და ინიციატივა ჩემს მხარეს გადმოვიდა. რასაკვირველია, გამარჯვებაზე არ ვფიქრობდი, კმაყოფილი დავრჩებოდი, რომ მხოლოდ თანაბარი თამაში მიმეღო. მაგრამ მოხდა ისე, რომ ჩემს უნებურად შევქმენი სერიოზული მუქარები, რის გამოც ალიოხინი იძულებული გახდა დაცვაზე გადასულიყო. ნიველე თუ არა გამსვლელი პაიკი, იგი უმალ გავსწიე წინ. როდესაც ამ პაიკის ლაზიერში გაცოცხლება გარდაუვალი გახდა, ალიოხინმა გამომიწოდა ხელი და გამარჯვება მომილოცა.

შემომეხვია ხალხი, დამიწყეს კითხვა: რა გვარი ხარ, სად სწავლობ, დიდი ხანია თამაშობ ჭადრაკს თუ არაო? ვიღაცამ კიდეც ჩაიწერა ბლოკნოტში ჩემი გვარი. როდესაც სახლში წამოსვლა დავაპირე, მომიახლოვდა კლუბის ოფიციანტი და ლანგარზე დადებული ოთხი მანეთი მომართვა, რაც თურმე ალიოხინზე გამარჯვებისათვის მეკუთვნოდა. საჩუქრის თავი არ მქონდა და პრიზი გახარებულ ოფიციანტს დავუტოვე, რომელსაც ალბათ მდიდარი კაცის შვილი ვეგონე.

მაგრამ ალიოხინზე გამარჯვებამ კინაღამ მიმსხვერპლა. მაპირებდნენ გიმნაზიიდან გარიცხვას, რადგან კლუბში ყოფნით დავარღვიე გიმნაზისტის შინაგანაწესი. დირექცია ამას ვერ გაიგებდა, რომ მეორე დღეს კიევის გაზეთებს თავის ფურცლებზე ქებით არ მოვეხსენიებივე.

დიდად განცვიფრდა საჭადრაკო კლუბის ადმინისტრაცია, როდესაც რამდენიმე დღის შემდეგ მამასთან ერთად უკვე გიმნაზისტის ფორმაში ვესწრებოდი ალიოხინისა და კიევის ჩემპიონ ევენსონის მატჩს, რომელიც ალიოხინმა (2:1) მოიგო.

1917 წლიდან ალიოხინი როგორც სამხედრო ნოსამსახურე ხშირად ჩამოდიოდა კიევში. ამ პერიოდში მე საშუალება მომეცა მას ახლო გავცნობოდი. ვესტუმრებოდით ხოლმე კაფეს, სადაც იმ დროს თავს იყრიდნენ კიეველი მოჭადრაკეები, ვთამაშობდით მსუბუქ პარტიებს. მახსოვს ერთხელ ვმონაწილეობდი ალიოხინის მიერ 8 დაფაზე გამართულ დაფაზე დაუხედავად ერთდროული თამაშის სეანსში.

ალიოხინმა მოუგო ექვს მოწინააღმდეგეს, ხოლო ორმა პარტიები ყაიმით დავამთავრეთ.



ალიოხინი ახალგაზრდა მოჭადრაკეებს ყოველთვის მრავალ სასარგებლო რჩევა-დარიგებას გვაძლევდა და არასოდეს უარს არ ამბობდა ჩვენთან მსუბუქი პარტიების თამაშზე. ამ შეხვედრებში იგი დაუზოგავად გვანადგურებდა, მაგრამ ერთხელ ჩვენც მივიღეთ სრული კმაყოფილება, როდესაც რამდენიმე მსუბუქი პარტია მოვუგეთ. აი როგორ მოხდა ეს:

ალიოხინი კიევიდან მიემგზავრებოდა და ჩვენ გადავწყვიტეთ გამოსათხოვარი ბანკეტი მოგვეწყო. ყველა შევიკრიბეთ არტისტულ საზოგადოებაში. ბანკეტზე ბევრი ღვინო დაილია და დამსწრენი კიდეც შეხურდნენ, მათ შორის ალიოხინიც. დრო ვუპოვეთ და ვთხოვეთ მონაწილეობა მიეღო გამოსათხოვარ ელვისებურ ტურნირში. აი აქ ჩვენც ვიჯერეთ გული და სახელმოხვეჭილ მოჭადრაკეს მრავალი პარტია მოვუგეთ.

ალიოხინის თამაშის შთაბეჭდილება ჩემს მეხსიერებაში წარუშლელია.

**ნ. სოროკინი,**
ოსტატობის კანდიდატი ჭადრაკში



19 მარტს მოსკოვის მ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპორტდარბაზში შედგა საერთაშორისო ამხანაგური მატჩი ფრენბურთში მოსკოვის „ბურევესტნიკის" და ბულგარეთის „შახტიორის" ვაჟთა და მოსკოვის „ლოკომოტივისა" და ბულგარეთის „უდარნიკის" ქალთა გუნდებს შორის.

• • •

სურათზე: ქალთა გუნდების „ლოკომოტივისა" და „უდარნიკის" თამაშის მომენტი. გამარჯვეს საბჭოთა სპორტსმენებმა ანგარიშით 3:1.

ფოტო ს. პრეობრაჟენსკისა.

## გუნდის დაკომპლექტებისათვის

„ბურევესტნიკის" აჭარის საოლქო საბჭომ ნაკრები გუნდის დაკომპლექტების მიზნით ჩაატარა პირადი პირველობა ველოსპორტში, რომელშიც მონაწილეობდა 25 სპორტსმენი. შეჯიბრების პროგრამაში იყო რბოლა 50 კილომეტრზე ვაჟებისათვის და 15 კილომეტრზე ქალთათვის. ჩემპიონის წოდება მოიპოვა გ. კუტუბიძემ (აჭარკოოპკავშირი), რომელმაც 50-კილომეტრიანი მანძილი დაფარა 1:25.50-ში. მეორე იყო ამავე ორგანიზაციის წარმომადგენელი ე. ჩხარტიშვილი — 1:27.20. მესამე ადგილზე გამოვიდა ს. ეკიმიანი („ელექტრომონტაჟი"), მისი დროა 1:29.00.

ქალთა შორის ტოლი არ ჰყავდა სპორტის ოსტატ ვ. იურკინას, რომელმაც მანძილი დაფარა 26 წუთსა და 56 წამში.

**შ. მამინაშვილი**

## მონაწილეობდა 20 გუნდი

გარეჯანის რაიონის სპარტაკიადა სასკოლო ფიზკულტურული კოლექტივებისათვის ტარდება ფრენბურთში, კალათბურთში, სროლაში, მძლეოსნობასა და ველოსპორტში.

ფრენბურთელთა შეჯიბრებაში წარმოდგენილი იყო ვაჟთა 11 და გოგონათა 9 გუნდი. როგორც ვაჟთა, ისე გოგონათა შორის პირველი ადგილი დაიკავა კოჯრის საშუალო სკოლამ.

დამთავრდა შეჯიბრება კალათბურთშიც, რომელშიც მხოლოდ ვაჟთა გუნდები მონაწილეობდნენ. პირველობა კვლავ კოჯრის საშუალო სკოლის სპორტსმენებმა მოიპოვეს.

**პ. გოგიძე**

## რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში

### მახარაძე

#### ძალოსნობა

„კოლმეურნის" მახარაძის რაი. საბჭომ სოფელ ჭანიეთში მოაწყო შეჯიბრება სიმძიმეთა აწევაში. პირველობას მეზობელი სოფლიდან მრავალი მაყურებელი დაესწრო.

შეჯიბრებაში მონაწილეობდა 8 გუნდი. პირველი ადგილი და გარდამავალი ჯილდო მოიპოვეს გურიანთის კოლმეურნე ძალოსნებმა. მეორე ადგილზე გამოვიდა ჭანიეთის გუნდი, მესამეზე — სოფელ შრომის ძალოსანთა კოლექტივი.

#### კალათბურთი

კალათბურთში რაიონის პირველობის გათამაშებაში მონაწილე 12 გუნდიდან უძლიერესი აღმოჩნდა სპორტსკოლის პირველი გუნდი, რომელმაც გადამწყვეტ თამაშებში დაამარცხა სპორტსკოლის მეორე და ლაშეს საკოლმეურნეო გუნდები.

**თ. სალუქვაძე**

### ლაგოდეხი

#### საგზატკეცილო რბოლა

ჩატარდა რაიონული პირველობა ველოსპორტში. შეჯიბრებაში მონაწილეობდა 49 სპორტსმენი. ქალთა შორის 20 და ვაჟთა შორის 50 კილომეტრზე რბოლაში გუნდური პირველი ადგილი წილად ხვდა კალინინის სახელობის ლაგოდეხის საშუალო სკოლას. მეორე ადგილზე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის, მესამეზე — ვარდისუბნის საშუალო სკოლის სპორტსმენები.

პირად პირველობაში ვაჟთა შორის გამარჯვებული გამოვიდა კალინინის სახელობის ლაგოდეხის საშუალო სკოლის მოსწავლე ა. მამაიაშვილი. მეორეზეა ზ. კუბლაშვილი (ბუდიონოვკის საშუალო სკოლა).

გოგონათა შორის რაიონის ჩემპიონობა მოიპოვა ბუდიონოვკელმა თ. ბოქოლიშვილმა. მეორე ადგილზეა ლაგოდეხის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის მოსწავლე ზ. ბარნაბიშვილი.

#### პირველად რაიონში

კულტურის სახლში მოეწყო შეჯიბრება კლასიკურ ჭიდაობაში რაიონის პირველობაზე. წარმატებას მოიპოვეს გ. ექვთიმიშვილმა, გ. ტაბატაძემ, ჯ. ჯანიაშვილმა, გ. წევილიძემ და სხვებმა.

**ი. ნადაშვილი**

## „მსოფლიოში ულამაზესი ატლეტი"

ამ სანახაობას არავითარი კავშირი არა აქვს ჩვეულებრივ სპორტულ ასპარეზობასთან მიუხედავად იმისა, რომ მასში მსოფლიოს უძლიერესი სპორტსმენებიც მონაწილეობენ.

... პროჟექტორებით გაჩირაღდნებული ესტრადის ფიცარნაგზე ერთიმეორის მიყოლებით გამოდიან ადამიანები, რომლებიც ორკესტრის თანხლებით ასრულებენ „შეჯიბრების" პროგრამით გათვალისწინებულ სხვადასხვა ვარჯიშს — კუნთებს ბერავენ, იმანჭებიან, ტანის მოქნილობის ათასგვარ ილეთს ასრულებენ. ეს სანახაობა ყოველწლიურად ეწყობა ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთისა და სხვა ბურჟუაზიული ქვეყნების ქალაქებში, ხოლო დასკვნითი ფაზაა კონკურსი მსოფლიოს ულამაზესი ატლეტის — „მისტერ უნივერსულის" გამოსავლინებლად. „სპორტის" ამ სახეობის მიმდევართა ორი კატეგორიაა. ერთნი არიან მოყვარულები, რომლებსაც აერთიანებს ძალოსნობის სპორტისა და ფიზიკური კულტურის საერთაშორისო ფედერაციაში შემავალი კლუბები. მეორე კატეგორიას ეკუთვნიან — ცირკის, კაბარეს, ვარიეტეს არტისტები ან უმუშევრები, ლუკმა-პურის მაძიებელი ადამიანები.

„მისტერ უნივერსულის" სახელისათვის 1955 წლის კონკურსი მოეწყო მიუნჰენში ძალოსნობაში მსოფლიო ჩემპიონატთან ერთდროულად. ბურჟუაზიული სპორტის ზოგიერთ საქმოსანს ამ ორი ღონისძიების ერთდროულად ჩატარება იმისათვის დაჭირდა, რომ ერთგვარად შეენელებინა მსოფლიო პირველობისადმი ინტერესი, სადაც მოსალოდნელი იყო საბჭოთა სპორტსმენების გამარჯვება. კონკურსი მიმდინარეობდა „აუფსტშელუნგჰალეს" დარბაზში, სადაც ცოტა ხნის წინ გამარჯვება გამარჯვებაზე „აწყობდნენ" საბჭოთა ქვეყნის წარგზავნილები. „მისტერ უნივერსულის" კონკურსის ორგანიზატორებს იმედი არ გაუმართლდათ, ბედმა უმუხთლათ — მათ შეჯიბრებას მაყურებელთა მცირე რაოდენობა ესწრებოდა, რომელთა უმრავლესობას სპორტული ინტერესის ნაცვლად სახეზე მხოლოდ დამცინავი ღიმილი ეხატებოდა. მსოფლიოში ულამაზესი ატლეტის ტიტულს 10 ქვეყნის 17 წარმომადგენელი ეცილებოდა ერთმანეთს. მონაწილეთა შორის იყვნენ ძალოსნური სპორტის ცნობილი ოსტატები — ამერიკელები ტომი კონო, ჩარლზ ვინჩი, მაჰმუდ ნამდიუ (ირანი), მაუნგ ტუნი (ბირმა).

გულშემზარავი იყო ეს უცნაური ასპარეზობა. მონაწილეთა სხეულზე ტალღისებრ მოძრაობდნენ, იბურთებოდნენ, შემდგომ სრულიად უჩინარდებოდნენ კუნთები. ამ იაფფასიან სპორტულ შეჯიბრებაში 5 ქულის დაგროვებით პირველ ადგილზე გამოვიდა ამერიკელი ტომი კონო, რომელმაც მოიპოვა „მისტერ უნივერსულის" პრიზი.

ახალი საქმე გაუჩნდათ ამერიკული სპორტის საქმოსნებს. ისინი ამტკიცებდნენ, რომ მიუნჰენის მსოფლიო ჩემპიონატში პირველი ადგილი მოიპოვეს არა საბჭოთა სპორტსმენებმა, არამედ ამერიკელებმა, რადგან ტომი კონომ ულამაზესი ატლეტის სახელისათვის კონკურსში გამარჯვებით დამატებით 5 ქულა მოუტანა ამერიკის გუნდსო.

მაგრამ ეს ამბავი თვით ამერიკელ სპორტსმენებშიც კი გაკვირვებას იწვევს.

**რედაქტორი ი. უგულავა.**

გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო".
ტელეფონები: რედაქტორისა — 3-89-62, პ-მგ. მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, მიღებისა და გამომშვების — 3-38-25.

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი. ლენინის ქ. № 14. უე 00675